

პარასკევს, 17 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის (www.traccc.cdn.ge) ინიციატივით მოეწყო საჯარო შეხვედრა თბილისის პრემიერთან ბ-ნ თემურ ქურხულთან. შეხვედრის თემა გახლდათ: „თბილისის მუნიციპალიტეტის ანტიკორუფციული პოლიტიკა.“ შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები და ჟურნალისტები.

ბ-მა თემურმა ისაუბრა ქალაქის მერიაში განხორციელებულ რეფორმებზე და იმ ანტიკორუფციულ პოლიტიკაზე, რომელიც ტარდება ქალაქის მუნიციპალიტეტში. მან აღნიშნა, რომ რეფორმები აუცილებლად უნდა დაწყებულიყო საკადრო პოლიტიკით, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა საკადრო ოპტიმიზაციას. მრავალი წლის მანძილზე არსებობდა ხელოვნურად გაზრდილი საშტატო ერთეულები, ხდებოდა ფუნქციათა დუბლირება, გადაფარვა. მთლიანად სისტემაში 50.000 მდე ადამიანი მუშაობდა, რაც რამდენჯერმე მეტი იყო რეალურად საჭირო რაოდენობაზე. ამჟამად, მკვეთრი ოპტიმიზაციის შედეგად, ცენტრალურ აპარატში მუშაობს 900-მდე ადამიანი, მოხდა ფუნქციათა მკვეთრი გამიჯვნა, საჭიროების შემთხვევაში – შერწყმა.

ბატონმა თემურმა განსაკუთრებულად გამოყო ბიუჯეტის საკითხი. მან თქვა, რომ ახლადდამტკიცებული ბიუჯეტის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება ნებისმიერ მსურველს შეეძლება მერიის ვებგვერდზე. აუცილებელია ბიუჯეტის მიზანშეწონილ ხარჯვაზე მკაცრი კონტროლი და ეს ასეც ხდება - საბიუჯეტო თანხებით მანიპულირება და მისი მითვისება დღეისათვის ფაქტიურად გამორიცხულია.

ბატონმა თემურმა ისაუბრა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებლობაზე და იმაზე, თუ რა კეთდება ამ თვალსაზრისით ქალაქის მუნიციპალიტეტში. აგრეთვე, თანამშრომელთა ანაზღაურებაზე, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია არაკორუმპირებული, ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესაქმნელად - თანამშრომელთა ხელფასები მერყეობს 400-იდან 2000 ლარამდე.

ძირითადი მოხსენების შემდეგ ბატონმა თემურმა უპასუხა დამსწრე საზოგადოების კითხვებს. კითხვები, ძირითადად, ეხებოდა ქალაქში მიმდინარე უკანონო მშენებლობებს, მათ დემონტაჟს, ფინანსური ანაზღაურების საკითხს, სკვერებისა და პარკების პრივატიზაციასა და კეთილმოწყობას, კომუნისტების დროს დაწყებულ და შემდგომში დაკონსერვებულ ბინათმშენებლობებს, ავტოფარეხების პრივატიზაციისა და სამანქანე სადგომების საკითხებს.

ბატონმა თემურმა ბრძანა, რომ ყველა კეთილსინდისიერ მყიდველს, რომელმაც „არაკანონიერების ხანაში“ სახელმწიფოსაგან შეიძინა ქალაქისათვის კუთვნილი უძრავი ქონდება თუ მიწის ნაკვეთი, შეძლებისდაგვარად აუნაზღაურდება ზარალი, კომპენსაცია გამოიხატება თანხით ან სანაცვლო ქონების შეთავაზებით. ასეთი პრეცედენტები უკვე არსებობს, ხოლო იქ სადაც შეიმჩნება ფინანსური გარიგებები და მახინაციები, სახელმწიფო ვალდებულია გააუქმოს ამგვარი შესყიდვები.

მერია მუშაობს დაკონსერვებული ბინათმშენებლობის საკითხებზე – ეძიებს ინვესტორებს, მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს იმ მოქალაქეთა

სამართლიანი ინტერესები, ვინც შესული იყო ე.წ. „ამხანაგობებში“ და გარკვეული, არც თუ მცირე თანხა, აქვთ შეტანილი მშენებლობებში. სამწუხაროდ, კომუნისტების დროს დაწყებულ და დაკონსერვებულ საუწყებო მშენებლობებზე სახელმწიფო პასუხს ვეღარ აგებს და მათი დასრულება თვით მოქალაქეებმა უნდა ითაონ.

რაც შეეხება სკვერებსა და პარკებს, ისეთი დიდი პარკები, როგორცაა ე.წ. „გაკის პარკი“ და „მუშთაიდი“, შესაძლოა, გაიცენ მრავალწლიანი იჯარით, ოღონდ ისე, რომ არ დაიკარგოს მათი პირველადი ფუნქცია და დანიშნულება. „იპოდრომის“ ტერიტორია კერძო საკუთრებას წარმოადგენს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ გაკეთდება ნებისმიერი რამ, რასაც მესაკუთრე მოისურვებს და რაც მთავარია, არამც და არამც არ მოხდება ამ ტერიტორიის განაშენიანება. იპოდრომის ტერიტორიაზე დაგეგმილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის გაშენება, რაც მოსახლეობის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს.

მერიის გადასაწყვეტ საკითხთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ავტოფარეხებისა და ზოგადად მანქანის სადგომების საკითხის მოგვარება. ბევრ ეზოში უკვე მოიშალა უკანონოდ აგებული ავტოფარეხები და მის ადგილას გაკეთდა სპორტული და საბავშო მოედნები. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ამგავრი რამ რთული გასაკეთებელი იქნება, მაგრამ ეს არის მერიის ზოგადი ტენდენცია და ქალაქის მუნიციპალიტეტი მუშაობს ამ მიმართულებით.